კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წელი.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

0413.1.1

მოდიფიცირებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 01-2024

17 აპრილი, 2024 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით

N 01-2024

17 აპრილი, 2024 წელი

1.საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

2.უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

ბაკალავრიატი

3.საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი

აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

4. ფართო სფერო

ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი

5. ვიწრო სფერო

ბიზნესი და ადმინისტრირება

6. დეტალური სფერო

მენეჯმენტი და ადმინისტრირება

7. სწავლის სფერო

მენეჯმენტი

8. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

240 კრედიტი

9. სწავლის ხანგრძლივობა

4 წელი, 8 სემესტრი

10. სწავლების ფორმა

დასწრებული

11. სწავლების ენა

ქართული

12. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში

Bachelor of Business Administration (BBA) in Management

13.პროგრამის ხელმძღვანელი

მამუკა თორია, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

14. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხ. 52).

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

15. სწავლების პერიოდი და მოცულობა

- ერთი აკადემიური წელი მოიცავს **38 კვირას;**
- **I** სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა;**
- **II** სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა.**

აქედან:

ა) **1-15 კვირა** სასწავლო პერიოდია, ტარდება ლექცია–სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები, შუალედური გამოცდები, პრეზენტაციები, რეფერატების მომზადება, დაცვა და ა.შ.

ბ) **მე-16 – მე–18 კვირა** დასკვნითი გამოცდების პერიოდია;

გ) **მე–19 კვირას** ტარდება განმეორებითი გამოცდები.

16. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია

სტუდენტს მისცეს:

- მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და გამოუმუშავოს პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- ახალი ბიზნესის დასაწყებად და შესაბამისი დოკუმენტაციის მოსამზადებლად საჭირო ცოდნა;
- ცოდნა, რათა მინიმალური ზედამხედველობის პირობებში კურსდამთავრებულმა შეძლოს ორგანიზაციის ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვა;
- აღჭურვოს სტუდენტი კომუნიკაციური და კრიტიკული ანალიზის უნარებით, რაც უზრუნველყოფს მომავალში კურსდამთავრებულის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის პროფესიული საქმიანობის დროს წარმატებით რეალიზებას;
- განუვითაროს კურსდამთავრებულს სოციალურ, ეთიკურ და მორალურ ფასეულობათა პატივისცემა;
- მოამზადოს კურსდამთავრებულები სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურებში, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქმიანობისათვის. ასევე, სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრატურაში ბიზნესის ადმინისტრირების ან სხვა მომიჯნავე სწავლის სფეროებზე.

პროგრამის მიზნების რეალიზაციის საფუძველზე მომზადდება მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი მენეჯერი და ეფექტური ლიდერი.

პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა სახის ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების ოპტიმალურ მართვას, რაშიც მას დაეხმარება ბიზნეს-მმართველობითი საქმიანობის სფეროში დაგროვილი საფუძვლიანი თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებსაც ის შეიძენს მენეჯმენტში მსოფლიო გამოცდილებისა და ქვეყნის თავისებურებების შესწავლის საფუძველზე.

17. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება	**პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:** • **განმარტავს** ბიზნესისა და მენეჯმენტის ძირითად თეორიებს, კონცეფციებს, პრინციპებს, მეთოდებსა და ტენდენციებს; • **აღწერს** ბიზნესისა და მენეჯმენტის ფუნქციონალური სფეროების ურთიერთკავშირს; ბიზნესის შიდა და გარე გარემოს და მის ელემენტებს; • **განმარტავს** ორგანიზაციის ადამიანური, ფინანსური, მატერიალური, ინფორმაციული და ინოვაციური რესურსების ეფექტიანი გამოყენების აუცილებლობას ორგანიზაციული მიზნების მიღწევისათვის.
უნარი	**პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:** • **მოიძიებს და ამუშავებს** მონაცემებს ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულებისა და შიდა ორგანიზაციული პროცესების პირველადი ანალიზის, ოპერატიული გეგმებისა და სამოქმედო გეგმების შესახებ წინასწარ მიღებული მითითების შესაბამისად; • **მოიძიებს და იყენებს** რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდებს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების მომზადება-წარდგენის, თავმოყრისა და კლასიფიკაციის მიზნით; • განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში **მონაწილეობს** კონკრეტული პროექტების, ოპერაციებისა და სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში პროფესიული ეთიკის მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით; • **ამყარებს** კომუნიკაციას სხვადასხვა სოციალურ, ინტერკულტურულ, ინტერდისციპლინურ და დარგობრივ ჯგუფებთან, ორგანიზაციის მართვის სფეროში არსებული აქტუალური საკითხების შესახებ.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	**პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:** • **შეიმუშავებს** საქმიან დოკუმენტებს საკუთარი ბიზნესის შექმნისა და შემდგომი მართვის მიზნით; • **გეგმავს** შესაბამის ღონისძიებებს შემდგომში ცოდნის გაღრმავების მიზნით.

18. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

„მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა – 240 კრედიტი

სავალდებულო კომპონენტები: 177 კრედიტი,

მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – **22 კრედიტი;**
- საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) სავალდებულო სასწავლო კურსები – **63 კრედიტი;**
- სწავლის სფეროს (მენეჯმენტის) სავალდებულო სასწავლო კურსები – **92 კრედიტი;**

არჩევითი კომპონენტები: 44 კრედიტი,

მათ შორის

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – **10 კრედიტი;**
- საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) არჩევითი სასწავლო კურსები – **8 კრედიტი;**
- სწავლის სფეროს (მენეჯმენტის) არჩევითი სასწავლო კურსები– **26 კრედიტი;**

თავისუფალი კომპონენტები: 19 კრედიტი

19. სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული სტანდარტული მეთოდები:

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, იგულისხმება ლექციისა და სემინარის ზეპირი გადაცემა, ან Power Point –ით პრეზენტაცია;

ჯგუფში დისკუსია/დებატები, რაც ითვალისწინებს სტუდენტების კამათში გამოწვევას, ინტერაქტიული ლექციის დროს საკუთარი აზრის დაფიქსირებას;

წიგნზე მუშაობის მეთოდი;

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს: ტესტურ მუშაობას, ქვიზების, სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნას, ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურიდან კონსპექტების, თეზისების, ესეებისა და რეფერატების მომზადებას;

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება - ინფორმაციის მოძიება-დამუშავება, სწავლის სფეროსთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის ამოცანების შესრულება, მოხსენების-თვის/პრეზენტაციისთვის საილუსტრაციო მასალის მომზადება და სხვ.)

ისე სხვადასხვა მეთოდების კომბინირება, მაგალითად:

ლექციებზე - მოსმენა და ჩანაწერის გაკეთება;

ჯგუფში მუშაობისას - **ვერბალური** (შესწავლილ თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და დისკუსიები/დებატები, პრეზენტაციის/მოხსენების წარდგენა), **წერითი** (დავალების/პრეზენტ-აციის მომზადება), **საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება** (კონკრეტულ საკითხთან და-კავშირებული ინფორმაციის მოძიება, კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით გაფორმებული/ილუსტრირებული მოხსენებები/პრეზენტაციები და ა.შ.).

სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული: პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია-დებატები, ჯგუფური **(collaborative)** მუშაობის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება **(PBL),** თანამშრომლობითი სწავლება **(cooperative),** შემთხვევის ანალიზი **(Case study),** როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება, სტუდენტთა მოტივაცია, სტუდენტთა მიერ ცოდნა-მომზადების ურთიერთშემოწმება (მეთოდიკა "პედაგოგიური როლები სტუდენტებისათვის" და მეთოდიკა "ინტერვიუ წყვილებში").

სწავლების პროცესში გამოიყენება ასევე: სტუდენტის მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკული ანალიზი და შეფასება; სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა და სხვების მიერ საკუთარი სა-მუშაოს კრიტიკის გათვალისწინება; ინფორმაციის მოძიება ელექტრონულ ფორმატში კომპიუტერული ტექნიკის ან/და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის გამოყენებით, დასახული ამოცანის რელევანტური ინფორმაციის და ლიტერატურის მიმოხილვა.

20. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში, სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. ყოველკვირეულ **მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია 40 ქულის დაგროვება;**

- **თითოეულ საგანში შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრში ერთხელ და ფასდება 20 ქულით;**
- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი;
- **შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა სულ შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა;**
- **შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულის ტოლია;**
- **დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა.**
- **დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 16 ქულის ტოლია;**
- **კონკრეტულ სასწავლო კურსში კრედიტი მიენიჭება სტუდენტს,** რომელსაც **შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;**

  შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები:

1. ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობა (ლექციებზე, სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობა, საშინაო დავალებების შესრულება, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობა, წერითი ქვიზების შესრულება, საშინაო დამოუკიდებელი დავ

ალების, რეფერატების მომზადება და პრეზენტაცა, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადება, პრეზენტაცია და ა.შ.) – **30–33 ქულა;**

წინასწარ არჩეული თემის პრეზენტაცია, რეფერატის, ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის მომზადება და დაცვა – 7–10 ქულა;

2. შუალედური გამოცდა – 20 ქულა;

3. დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა;

4. საბოლოო შეფასება – 100 ქულა.

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების **ევროპული სისტემის (ECTS)** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით:**

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება	
91-100 ქულა	A	ფრიადი
81-90 ქულა	B	ძალიან კარგი
71-80 ქულა	C	კარგი
61-70 ქულა	D	დამაკმაყოფილებელი
51-60 ქულა	E	საკმარისი
41-50 ქულა	Fx	**ვერ ჩააბარა** (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40 ქულა	F	**ჩაიჭრა** (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა.

შენიშვნა: სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა **FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე** გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, **ძირითადი გამოცდების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.**

21. საშუალო აკადემიური შეფასება (GPA)

უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების 4 ბალიანი ექვივალენტით - **საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).**

22. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება **„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების**

შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება **მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი** და ეძლევა შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება.

23. დასაქმების სფერო

პროგრამის დასრულების შემდეგ, სწავლის პროცესში მიღებული სავალდებულო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის გამომუშავებული ზოგადი კომპეტენციებისა და კონკრეტული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, **ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრს მენეჯმენტში შეეძლება:**

- დასაქმდეს სახელმწიფო, საჯარო და ბიზნეს-სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საერთაშორისო კომპანიებში საშუალო და დაბალი რგოლის მენეჯერად, სპეციალისტად, ან ექსპერტ-კონსულტანტად;
- ბიზნეს-ორგანიზაციების (საწარმოო და მომსახურების ფირმები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვ.) წამყვან დეპარტამენტებში დაიკავოს შემდეგი პოზიციები: ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, მარკეტინგის მენეჯერი, ლოჯისტიკის მენეჯერი, საწარმოო პროცესების და ოპერაციების მენეჯერი, ინოვაციების მენეჯერი, პროექტების მენეჯერი და სხვ.

24. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში **ბიზნესის და ადმინისტრირების** სფეროს სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი სფეროს სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სწავლის სფეროს ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

კომპეტენციათა რუქა

სასწავლო კურსი	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
ინგლისური ენა- 1/ინგლისური ენა- 1 დამწყებთათვის	X	X	
ინგლისური ენა- 2/ინგლისური ენა- 2 დამწყებთათვის	X	X	
ინგლისური ენა- 3 დამწყებთათვის	X	X	
საქართველოს ისტორია	X	X	X
კომპიუტერული უნარები	X	X	
წერის უნარები	X	X	
მიკროეკონომიკის პრინციპები	X	X	X
კალკულუსი- 1	X	X	X
მაკროეკონომიკის პრინციპები	X	X	X
ბიზნესის საფუძვლები	X	X	
კალკულუსი- 2	X	X	X
მენეჯმენტის საფუძვლები	X	X	X

ექსელი ბიზნესისათვის	X	X	
ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები	X	X	
სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	X	X	X
ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები	X	X	
მარკეტინგის საფუძვლები	X	X	
ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება	X	X	
ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები	X	X	X
პროფესიული ინგლისური მენეჯერებისთვის 1	X	X	
ოპერაციული მენეჯმენტი	X	X	X
პროფესიული ინგლისური მენეჯერებისთვის 2	X	X	X
მეწარმეობის და ბიზნეს გეგმების ორგანიზება და მართვა	X	X	X
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	X	X	X
კორპორაციული მენეჯმენტი	X	X	
პროექტების მენეჯმენტი	X	X	X
მენეჯერული აღრიცხვა	X	X	

მარკეტინგის მენეჯმენტი	X	X	
სტრატეგიული მენეჯმენტი	X	X	X
რისკ–მენეჯმენტი	X	X	X
ორგანიზაციული ქცევა	X	X	X
ინოვაციების მენეჯმენტი	X	X	X
ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციების მართვა	X	X	X
ანტიკრიზისული კომუნიკაციის მართვა	X	X	X
საბაკალავრო პროექტი	X	X	X
პრაქტიკა	X	X	X
ფილოსოფიის საფუძვლები	X	X	
მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია	X	X	
ამერიკული ლიტერატურა (კოლონიალური საწყისებიდან დღემდე)	X	X	
მეტყველება და საჯარო გამოსვლები	X	X	
მსოფლიო ლიტერატურა - თანამედროვე რომანი	X	X	
პოლონური ენა-1	X	X	
ესპანური ენა -1	X	X	X

ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	
მსოფლიო კინოს ისტორია	X	X	
კავკასიის ხალხთა ყოფა და კულტურა	X	X	
მსოფლიო ხელოვნების ისტორია	X	X	
საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი	X	X	
ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული ტექნოლოგიები	X	X	
პოლონური ენა-2	X	X	
ესპანური ენა -2	X	X	
მცირე ბიზნესის მართვა	X	X	
ბიზნეს კომუნიკაციები	X	X	
ბიზნესის მოდელირება	X	X	
შრომის ეკონომიკა	X	X	
ელექტრონული ბიზნესი	X	X	X
საერთაშორისო ბიზნესი	X	X	
ბიზნესის ეთიკა და ბიზნესის ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	X
ცირკულარული ეკონომიკის საფუძვლები	X	X	

ფინანსებისა და ტექნოლოგიების მენეჯმენტი	X	X	X
მეწარმეობის თეორია	X	X	
ფირმის ეკონომიკა და მართვა	X	X	
მენეჯერული ეკონომიკა	X	X	X
ღონისძიებების მენეჯმენტი	X	X	
ხარისხის მართვა	X	X	
ლიდერობა და გუნდის მართვა	X	X	
საინვესტიციო მენეჯმენტი	X	X	X
ლოჯისტიკის მართვა	X	X	
კონფლიქტების მართვა	X	X	
საერთაშორისო მენეჯმენტი	X	X	
საბანკო მენეჯმენტი	X	X	X
ბრენდინგი	X	X	
შესავალი 6–სიგმის მენეჯმენტში	X	X	X

CIU
+ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი +
+ CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY +